

ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების დანართი N3 - ავტომატური გადახდები შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. შეიცვალოს დანართი N3 - ავტომატური გადახდების პირობები სრულად და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების დანართი N3 - ავტომატური გადახდები

1. ავტომატური გადახდებით მომსახურების მეშვეობით, კლიენტს აქვს შესაძლებლობა მისცეს ბანკს დავალება, რომ ბანკმა დავალების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში, განაცხადით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მიმდინარე ანგარიშიდან პერიოდულად გადაურიცხოს თანხა მიმღებს. ამასთან, ავტომატური გადახდებით მომსახურების მეშვეობით, დავალება შეიძლება გაიცეს კლიენტის სარგებლობაში არსებული საკრედიტო ბარათის მინიმალური გადასახადის გადახდის მიზნით, ასეთ შემთხვევაში მიმღებს წარმოადგენს ბანკი.
2. ავტომატური გადახდებით მომსახურებისთვის აუცილებელია რომ არსებობდეს საკმარისი თანხა განაცხადით განსაზღვრულ შესაბამის ანგარიშ(ებ)ზე.
3. დავალების შესრულების ანგარიში შესაძლებელია იყოს 1 (ერთი) ძირითადი მიმდინარე ანგარიში და რამდენიმე დამატებითი მიმდინარე ანგარიში.
4. დავალების შესრულების ძირითად და დამატებით მიმდინარე ანგარიშ(ებ)ს ირჩევს კლიენტი. ამასთან, ბანკისათვის ერთდროულად რამდენიმე დავალების მიცემის შემთხვევაში ყველა ამ დავალებისთვის შესაძლოა განსაზღვრულ იქნეს შესაბამისი ერთიანი ან სხვადასხვა ანგარიშ(ებ)ი.
5. დამატებითი მიმდინარე ანგარიშ(ებ)ი გამოიყენება ძირითადი მიმდინარე ანგარიშის შესავსებად ამ დანართით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
6. კლიენტი უფლებამოსილია განაცხადის მეშვეობით განსაზღვროს ანგარიშების პრიორიტეტულობა. ამასთან, ძირითადი მიმდინარე ანგარიში ყოველთვის წარმოადგენს პირველი რიგის პრიორიტეტს.
7. ძირითადი მიმდინარე ანგარიში აუცილებლად უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში. ამასთან, ძირითადი მიმდინარე ანგარიშის სახით მიეთითება მხოლოდ ისეთი უნივერსალური მიმდინარე ანგარიში, რომელზეც გააქტიურებულია ლარის ვალუტა.
8. დავალების შესრულებისას პირველ რიგში გათვალისწინებულ იქნება პრიორიტეტში პირველ რიგში მდგომი ძირითადი მიმდინარე ანგარიში, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პირველი პრიორიტეტის ძირითადი მიმდინარე ანგარიშზე არ არის საკმარისი თანხა (უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის შემთხვევაში შესაბამისი მულტისავალუტო ლიმიტი როგორც ლარში, ისე უცხოურ ვალუტაში), განაცხადით განსაზღვრული მომდევნო პრიორიტეტის დამატებითი მიმდინარე ანგარიშიდან თანხის საჭირო ნაწილი პირველ რიგში გადაირიცხება პირველი პრიორიტეტის ძირითად მიმდინარე ანგარიშზე და მხოლოდ ამის შემდეგ შესრულდება დავალება. ამასთან, თუ განაცხადით ანგარიშების პრიორიტეტულობა განსაზღვრული არ არის, მაშინ თანხის შევსება შესრულდება ბანკის მიერ განსაზღვრული ანგარიშების პრიორიტეტულობის შესაბამისად.
9. თუ დავალება ან მისი ნაწილი სრულდება განაცხადით განსაზღვრულ მიმდინარე ანგარიშ(ებ)ზე არსებული უცხოური ვალუტის გამოყენებით, კონვერტაცია განხორციელდება დავალების შესრულების მომენტისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსის შესაბამისად.
10. დავალების შესასრულებლად უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის მითითების შემთხვევაში:

- 10.1. **დავალების** შესრულებისას გაითვალისწინება **უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის** მულტისავალუტო ლიმიტი, გარდა იმ შემთხვევისა თუ **ბარათი** ვადაგასულია, მაგრამ **უნივერსალური მიმდინარე ანგარიში** აქტიურია. ამასთან, ასეთ შემთხვევაში გაითვალისწინება მხოლოდ იმ ვალუტის **ანგარიშის** ლიმიტი, რომელიც მითითებულია **დავალების** შესრულებისთვის.
- 10.2. თუ **დავალების** შესრულებისთვის განსაზღვრულია ეროვნული ვალუტის **ანგარიში** და აღნიშნულ ანგარიშზე არ არის **დავალების** შესრულებისთვის საკმარისი თანხა, მაშინ კონვერტაცია განხორციელდება **დავალების** შესრულების მომენტისათვის **ბანკში** არსებული კომერციული კურსით, შემდეგი ვალუტის პრიორიტეტულობის შესაბამისად: ლარი, აშშ დოლარი, ევრო და ბოლოს ფუნტი სტერლინგი, იმის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველი პრიორიტეტი არის **ბარათის** ძირითადი ვალუტა.
- 10.3. თუ **დავალების** შესრულებისთვის განსაზღვრულია უცხოური ვალუტის **ანგარიში** და აღნიშნულ **ანგარიშზე** არ არის **დავალების** შესრულებისთვის საკმარისი თანხა, მაშინ კონვერტაცია განხორციელდება **დავალების** შესრულების მომენტისათვის **ბანკში** არსებული კომერციული კურსით, შემდეგი ვალუტის პრიორიტეტულობის შესაბამისად: ლარი, აშშ დოლარი, ევრო და ბოლოს ფუნტი სტერლინგი, იმის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველი პრიორიტეტი არის **ბარათის** ძირითადი ვალუტა, ხოლო დაკონვერტირებული, უცხოურ ვალუტაში არსებული თანხის კონვერტაცია განხორციელდება **დავალების** შესრულების მომენტისათვის **ბანკის** მიერ დადგენილი კომერციული კურსის შესაბამისად.
11. **დავალების** შესრულებისას გამოყენებად თანხაში გაითვალისწინება, **მიმდინარე ანგარიშზე** დაშვებული **ოვერდრაფტის** თანხა, დაწესებული მინიმალური ნაშთის და ჩატარებული, მაგრამ **ანგარიშზე** მიმდინარე მომენტისათვის აუსახავი **ოპერაციების** შესაბამისი თანხები.
12. **დავალება** არ შესრულდება (მათ შორის დამატებით **მიმდინარე ანგარშ(ებ)ზე** არსებული თანხის მეშვეობით) თუ **დავალების** შესრულების დღეს ძირითად **მიმდინარე ანგარიშზე** დადგენილი მინიმალური ნაშთის ოდენობა დარღვეულია ან რაიმე მიზეზით შეუძლებელია მინიმალური ნაშთის გამოყენება **დავალების** შესასრულებლად.
13. თუ ნებისმიერი მიზეზით დაიხურა **განაცხადით** განსაზღვრული ძირითადი **მიმდინარე ანგარიში** ან/და რომელიმე დამატებითი **მიმდინარე ანგარიში** ან/და მისი/მათი გამოყენება დაუშვებელია **კანონმდებლობით** ან/და **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად ან/და **მიმდინარე ანგარიშის** გამოყენება შეუძლებელია ტექნიკური მიზეზით, ასეთი **მიმდინარე ანგარიშის** ადგილს პრიორიტეტულობის ნუსხაში დაიკავებს პრიორიტეტულობის რიგითობით შემდეგი **მიმდინარე ანგარიში**. ამასთან, თუ დაიხურა ძირითადი **მიმდინარე ანგარიში**, რიგითობით შემდეგი დამატებითი **მიმდინარე ანგარიში**, რომელიც აკმაყოფილებს ძირითადი **მიმდინარე ანგარიშის** პირობებს დაიკავებს მის ადგილს.
14. **კლიენტი** უფლებამოსილია **განაცხადით** განსაზღვროს **დავალების** პრიორიტეტულობა, რომლის შესაბამისადაც მოხდება ერთსა და იმავე თარიღში ან/და ერთსა და იმავე **ანგარიშზე** არსებული **დავალების** შესრულების მცდელობის დაწყების თანმიმდევრობა. ამასთან, საკრედიტო **ბარათის** მინიმალური გადასახადის დაფარვის მიზნით **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** შესაბამისი **დავალების** მიცემის შემთხვევაში, პირველ რიგში შესრულდება შესაბამისი საკრედიტო **ბარათის** მინიმალური გადასახადის გადახდის **დავალება** და ამის შემდეგ შესრულდება **ავტომატური გადახდის მომსახურების** ფარგლებში სხვა აქტიური **დავალება**.
15. თუ **დავალების** შესრულების ერთსა და იმავე დღეს **კლიენტის** მიერ დაფიქსირებულია ერთზე მეტი **დავალება** და თუ მაღალი პრიორიტეტის **დავალების** შესასრულებლად საკმარისი თანხა არ არის **განაცხადით** განსაზღვრულ **მიმდინარე ანგარიშებზე**, მაგრამ საკმარისია შედარებით დაბალი პრიორიტეტის **დავალების** შესასრულებლად, შესრულდება დაბალი პრიორიტეტის **დავალება**.

16. ტექნიკური მიზეზების გამო შესაძლებელია **დავალება** შესრულდეს დაბალი პრიორიტეტის მქონე **მიმდინარე ანგარიშიდან**, მაშინაც კი როცა მაღალი პრიორიტეტის **მიმდინარე ანგარიშზე** განთავსებულია საკმარისი თანხა.
17. **ავტომატური გადახდებით** მომსახურების ფარგლებში **დავალების** გაუქმების შემთხვევაში, პრიორიტეტულობის კუთხით აღნიშნული **დავალების** ადგილს დაიკავებს რიგით შემდგომი **დავალება**, ხოლო ყოველი მომდევნო **დავალების** პრიორიტეტულობა შეიცვლება აღნიშნული რიგითობის შესაბამისად.
18. **კლიენტი** უფლებამოსილია:
 - 18.1. **დავალების** შესრულებისთვის აირჩიოს ფიქსირებული ან ცვალებადი თარიღი:
 - 18.1.1. ფიქსირებული თარიღის არჩევის შემთხვევაში - **დავალება** შესრულდება **განაცხადით** განსაზღვრულ კონკრეტულ თარიღში/დღეს;
 - 18.1.2. ცვალებადი თარიღის არჩევის შემთხვევაში - **დავალება** შესრულდება გადასახდელის შესახებ **მიმღების** მიერ **ბანკისთვის** ინფორმაციის მიწოდების თარიღში/დღეს. ამასთან:
 - 18.1.2.1. ცვალებადი თარიღით დავალების შესრულება ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ **მიმღების** შემთხვევაში, რომელიც **ბანკსა** და **მიმღებს** შორის დადებული შესაბამისი გარიგების ფარგლებში, გადასახდელის წარმოშობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს **ბანკს**;
 - 18.1.2.2. ცვალებადი თარიღით **დავალების** წარმატებით შესრულების შემდეგ, მომდევნო 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში არ განხორციელდება შემდგომი **დავალების** შესრულება, მიუხედავად იმისა, რომ **კლიენტს** შეიძლება უფიქსირებოდეს გადასახდელი **მიმღების** მიმართ
 - 18.2. **დავალების** შესრულებისათვის აირჩიოს ფიქსირებული ან ცვალებადი თანხა:
 - 18.2.1. ფიქსირებული თანხის არჩევის შემთხვევაში - **დავალება** შესრულდება **განაცხადით** განსაზღვრული თანხის ოდენობის ფარგლებში;
 - 18.2.2. ცვალებადი თანხის არჩევის შემთხვევაში - **დავალება** შესრულდება **მიმღების** მიერ **ბანკისთვის** მიწოდებული გადასახდელი თანხის მოცულობის შესაბამისად. ამასთან, ცვლადი თანხით **დავალების** შესრულება ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ **მიმღების** შემთხვევაში, რომელიც შესაბამისი გარიგების ფარგლებში, გადასახდელის წარმოშობის და მისი მოცულობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს **ბანკს**.
 - 18.3. **დავალების** შესრულების ფიქსირებული თარიღის არჩევის შემთხვევაში, აირჩიოს **დავალების** შესრულების პერიოდულობა (დროის შუალედი **დავალების** განმეორებით შესრულებისთვის):
 - 18.3.1. კვირაში ერთხელ;
 - 18.3.2. თვეში ერთხელ;
 - 18.3.3. 6 (ექვსი) თვეში ერთხელ;
 - 18.3.4. 12 (თორმეტი) თვეში ერთხელ;
 - 18.4. თითოეული **დავალებისათვის** განსაზღვროს **დავალების** შესრულების მაქსიმალური თანხა და ასევე აირჩიოს შესრულდეს თუ არა **დავალება** იმ შემთხვევაში, როდესაც გადასახდელის ოდენობა აღემატება **დავალების** შესრულების მაქსიმალურ თანხას ან აირჩიოს **დავალების** შესრულება მხოლოდ **დავალების** შესრულების მაქსიმალური თანხის ფარგლებში.
 - 18.5. ცვლილება შეიტანოს **დავალებაში**.
19. **დავალების** შესრულების ცვალებადი თარიღის არჩევის შემთხვევაში **დავალების** შესრულების პერიოდულობა განისაზღვრება **მიმღების** მიერ **ბანკისთვის** მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე/შესაბამისად.
20. **დავალების** შესრულების ცვალებადი თარიღის ან/და ცვალებადი თანხის არჩევის შემთხვევაში, **ბანკი** პასუხს არ აგებს იმ შედეგზე რაც შეიძლება დადგეს **მიმღების** მიერ **ბანკისთვის** გადასახდელის (მათ შორის მისი მოცულობის) შესახებ ინფორმაციის არ/ვერ მიწოდების ან/და დაგვიანებით ან/და არასწორად მიწოდების გამო.

21. საკრედიტო ბარათის მინიმალური გადასახადის დაფარვის მიზნით კლიენტის მიერ ბანკისათვის მიცემული დავალება შესრულდება, საკრედიტო ბარათის პირობების შესაბამისად, მინიმალური გადასახადის დაანგარიშების დღეს, მიუხედავად გადახდის თარიღის დადგომისა.
22. თუ განაცხადით განსაზღვრული დავალების შესრულების თარიღი არ არის შესაბამის კალენდარულ თვეში, მაშინ დავალება შესრულდება შესაბამისი კალენდარული თვის ბოლო დღეს.
23. თუ განაცხადით განსაზღვრული დავალების შესრულების თარიღი არასაბანკო დღეა, მაშინ დავალება შესრულდება მომდევნო საბანკო დღეს.
24. ავტომატური გადახდებით მომსახურების საკომისიო გადაიხდება დანართი N1- საკომისიოებში მოცემული მოცულობის შესაბამისად. ამასთან, საკომისიოს გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველი კალენდარული თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვამდე, ყველა იმ თვისთვის, რომლის განმავლობაში (მათ შორის არასრული თვის განმავლობაში) ერთი დავალება მაინც არის აქტიური.
25. ავტომატური გადახდებით მომსახურების ფარგლებში კონკრეტული დავალების შესრულების საკომისიო განისაზღვრება ბანკის მიერ კონკრეტული გადასახდელის გადახდისთვის დადგენილი საკომისიოს შესაბამისად, რომელიც შეიძლება განსახვავდებოდეს დავალებით განსაზღვრული მიმღების შესაბამისად. ამასთან ავტომატური გადახდებით მომსახურების ფარგლებში კონკრეტული დავალების შესრულების საკომისიოს გადახდა უნდა განხორციელდეს ბანკის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
26. ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის წინასწარი შეტყობინების გარეშე, სრულად ან ნაწილობრივ, ავტომატურად შეწყვიტოს ავტომატური გადახდებით მომსახურება ან ავტომატური გადახდებით მომსახურების ფარგლებში დავალების შესრულება (მათ შორის არ შეასრულოს კონკრეტული დავალება), თუ:
 - 26.1. ზედიზედ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ არის გადახდილი ავტომატური გადახდებით მომსახურების ან/და მის ფარგლებში გადასახდელი საკომისიო;
 - 26.2. დაიხურა დავალების შესრულებისთვის განსაზღვრული ყველა ანგარიში ან/და არ არსებობს ანგარიში რომელიც დაიკავებს ძირითადი ანგარიშის ადგილს;
 - 26.3. ბარათის ვადის გასვლის გამო არააქტიურია უნივერსალური მიმდინარე ანგარიში საიდანაც უნდა განხორციელდებულყო დავალება და არ არსებობს დამატებითი მიმდინარე ანგარიში დავალების შესასრულებლად;
 - 26.4. ბანკსა და დავალებით განსაზღვრულ მიმღებს შორის გადასახდელის გადახდასთან დაკავშირებით არსებული გარიგების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში;
 - 26.5. დავალებით განსაზღვრული გადასახდელის გადახდის მომსახურების ბანკის მიერ გაუქმების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში;
 - 26.6. დავალებით განსაზღვრული მიმღების მიერ ბანკისთვის გადასახდელის წარმოშობის ან/და მისი მოცულობის შესახებ ინფორმაციის მოწოდების შეწყვეტის შემთხვევაში.
 - 26.7. დავალების შესრულება შეუძლებელია კანონმდებლობის ან/და ხელშეკრულების მოთხოვნებიდან გამომდინარე.
27. იმ შემთხვევაში თუ ავტომატური გადახდებით მომსახურება შეწყდა კლიენტის მიერ საკომისიოს გადაუხდელობის გამო, მაშინ კლიენტის მიერ ბანკისთვის დავალების მიცემის შემთხვევაში (შესაბამისად ავტომატური გადახდების მომსახურების გააქტიურებამდე) კლიენტი ვალდებულია დაფაროს ბანკის წინაშე არსებული დავალიანება.
28. ბანკი უფლებამოსილია დავალების შესრულების შესახებ ინფორმაცია, მოკლე ტექსტური შეტყობინებით, გაუგზავნოს კლიენტს ფინანსურ ნომერზე ან/და განაცხადით განსაზღვრულ ტელეფონის ნომერზე. ამასთან, ბანკი არ არის პასუხისმგებელი თუ გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება რაიმე მიზეზით არ მივა ადრესატამდე.

29. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს ფინანსურ ნომრის ან/და განაცხადით** განსაზღვრულ ტელეფონის ნომერ ცვლილების/გაუქმების შესახებ.
30. თუ **განაცხადით** განსაზღვრულ ფიქსირებულ თარიღში ან ცვალებადი თარიღის არსებობისას, **მიმღების** მიერ მიწოდებული/მოუწოდებელი ინფორმაციის გამო ვერ შესრულდება **დავალება, დავალების** შესრულების მცდელობა განმეორდება **ბანკში** დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
31. იმ შემთხვევაში თუ **განაცხადით** განსაზღვრულია **დავალების** შესრულების ფიქსირებული თანხა, თითოეულ შემთხვევაში განხორციელდება მიმდინარე გადასახდელის გადარიცხვა **მიმღებისათვის** და არ იქნება გათვალისწინებული მიმდინარე დავალიანება.
32. **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიცემული **ავტომატური გადახდის დავალების** არსებობისას, იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული თარიღისათვის, **კლიენტის** სახელზე **ბანკის** მიმართ/სასარგებლოდ ფიქსირდება ვადაგადაცილებული/ვადამოსული დავალიანება ან/და სხვა ვალდებულება, მხოლოდ ასეთი დავალიანების/ვალდებულების დაფარვის შემდეგ შესრულდება **ავტომატური გადახდის** ფარგლებში არსებული **დავალება**.